ოქმი:**ო37. 3726026001**

თარიღი:**26/01/2026**

ოქმი N 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 23 იანვარი

ქ. ოზურგეთი

16:00 -17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ე. გორდელაძე, დ.ჭაკნელიძე, დ. ხურციძე, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. N26.05.38.169) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N1 საკითხი განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

2. N2 საკითხი-განხილვისა და დასკვნის წარმოდგენის მიზნით დაეწეროთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივ კომისიებს:((ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი).

3. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიების 2026 წლის სამუშაო გეგმები.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი